კითხვის დასმის სტრატეგიები

შესავალი

შეკითხვები საჭიროა იმისთვის, რომ უკეთ შევძლოთ გარე სამყაროში ორიენტირება. ალისონ კინგის სიტყვებით, „ის ვისაც შეუძლია კითხვის დასმა - შეუძლია აზროვნება“, ხოლო „კარგი შეკითხვა“ ისაა, რომელიც ალტერნატიული პასუხების შესაძლებლობას იძლევა. შეკითხვის დასმა პრობლემის ფორმულირების საშუალებას წარმოადგენს.

ჩვენს მოსწავლეებში გაბატონებულია აზრი, რომ ნებისმიერ შეკითხვაზე არსებობს „სწორი პასუხი“ და ისინი კარგი სწავლის შემთხვევაში ყოველთვის მოძებნიან დასმულ შეკითხვაზე პასუხს. სწორედ ამგვარი მიდგომა ბადებს მოსწავლეებში უსიამოვნების განცდას, როდესაც მათ არ შეუძლიათ დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ამიტომ, საჭიროა იმ პირობების დაცვა, რომელიც ამგვარ პრობლემას აგვარიდებს:

- სიტუაცია, როდესაც მოსწავლეს არ შეუძლია შეკითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება ჩავთვალოთ ნორმალურად;
- მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს რაც შეიძლება მეტი ღია, შემოქმედებითი კითხვები, რომლებიც მრავალი, ალტერნატიული პასუხის გაცემის შესაძლებლობას იძლევა და, რომლებიც შემდგომი დისკუსიისკენ არის მიმართული.
- მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ არჩევანის გაკეთების საშუალება და ეს არჩევანი მათ თვითონ უნდა შექმნან. მასწავლებელმა სწავლების ისეთი ფორმა უნდა გამონახოს, რომ მოსწავლეებმა თვითონ შექმნან კითხვების „ბანკი“, რომლებიც კვლევისა და მასალის შესწავლისკენ იქნება მიმართული.

გთავაზობთ სტრატეგიას, რომელიც მოსწავლეებში კითხვის დასმის უნარის გამომუშავებას ისახავს მიზნად.

„კითხვითი სიტყვები“

ეს სტრატეგია გამოიყენება იმ დროს, როდესაც მოსწავლეებს წინასწარ გარკვეული წარმოდგენა აქვთ საკვლევი თემის შესახებ და მეტ-ნაკლებად ერკვევიან შესასწავლი მასალის საბაზო ცნებებში. „კითხვითი სიტყვები“ ეხმარება მათ შექმნან ე. წ. „ინტერესთა ველი“. სტრატეგია გამოიყენება როგორც რომელიმე თემის შესასწავლად, ასევე სხვადასხვა ტიპის წყაროს გასაანალიზებლად.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ ძირითადი ცნებები, რომლებიც შესწავლილ თემასთან არის დაკავშირებული ან ტექსტშია მოცემული და ჩაწერონ ისინი ორგანყოფილებიანი ცხრილის მარჯვენა ნაწილში. (იხ. ცხრილი). მარცხენა ნაწილში კი მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ სხვადასხვა კითხვითი სიტყვები ან კითხვითი კომპოზიტები. ჩვენ შემთხვევაში კითხვითი სიტყვები და კომპოზიტები უკვე ჩამოწერილია, თუმცა შეიძლება მათი შეცვლა და ახალი კითხვითი სიტყვებითა და კითხვითი კომპოზიტებით ჩანაცვლება.

ცნებების რაოდენობა იმდენი უნდა იყოს, რამდენიცაა კითხვითი სიტყვა. ცნებებისა და კითხვითი სიტყვების გამეორება არ შეიძლება. ამის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა ჩამოაყალიბონ შეკითხვა, რომლებშიც შეაზავებენ ცხრილის ორივე ნაწილის ელემენტს. კითხვითი სიტყვები და ცნებები

შეკითხვებში არ უნდა მეორდებოდეს. ეს სამუშაო შეიძლება შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებში.

ცხრილი

კითხვითი სიტყვები	**თემის ძირითადი ცნებები**
ვინ?	
რა?	
სად?	
როდის?	
რატომ?	
რომელი?	ბრძოლა
როგორი?	
რამდენი?	
რისთვის?	
რა გზით?	

მაგალითი - შეკითხვა: <u>სად</u> მიმდინარეობდა გადამწყვეტი <u>ბრძოლა</u> თბილისისთვის ბოლშევიკურ არმიასა და ქართულ ქვედანაყოფებს შორის?

ამის შემდეგ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს განიხილონ საკუთარი ცხრილები და აირჩიონ ორი (შეიძლება 3-4) ყველაზე საინტერესო (პროდუქტიული, მოულოდნელი, პრობლემური და სხვა) შეკითხვა. იქამდე, სანამ მოსწავლეები თავის ნამუშევრებს წარმოადგენენ ჯგუფებში ან მთელი კლასის წინაშე, მათ უნდა გამოთქვან მოსაზრება, თუ რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით მიიღეს გადაწყვეტილება.

1.შესაძლებელია, ყველამ უცბად ვერ გასცეს არგუმენტებული პასუხი. ამ შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია ჩაიწეროს ეს შეკითხვები, რათა მომავალში ისევ დაუბრუნდეს.

2. თუ მასწავლებელი სამუშაოს გაკვეთილის ბოლოს ატარებს, შესაძლებელია შემდეგი გაკვეთილი სწორედ ამ შეკითხვების საფუძველზე დაიგეგმოს.

3. შესაძლებელია, ამგვარი სამუშაოს ჩატარებისას დაგროვდეს ძალიან ბევრი ან ზოგადი ხასიათის შეკითხვები. ეს შეკითხვები მასწავლებელმა უნდა შეინახოს და პერიოდულად დაუბრუნდეს მასალის უფრო ღრმად შესწავლის მიზნით. ამავე დროს, მას ექნება საშუალება მიიღოს ობიექტური ინფორმაცია, თუ რა თემები და საკითხები აინტერესებთ მოსწავლეებს.

შეკითხვის დონეები

წინამდებარე სტრატეგია დაეხმარება მოსწავლეებს ტექსტის გაგებასა და ინტერპრეტაციაში. ასევე, პრობლემის დასმასა და იდეების გენერირებაში.

ნაბიჯი პირველი - მომზადება

ამისთვის საჭიროა კონკრეტული ტექსტის მიხედვით მასწავლებელმა მოამზადოს სამი დონის შეკითხვა. თითოეულ დონეს უნდა შეესაბამებოდეს 2 ან 3 შეკითხვა (შეკითხვების რაოდენობა დამოკიდებულია მოსწავლეთა მომზადების დონესა და შეკითხვების სირთულეზე). ეს სტრატეგია შეიძლება გამოვიყენოთ ისტორიული დოკუმენტების, ლიტერატურული ნაწარმოებების, საგაზეთო სტატიების, ფილმების, ხელოვნების ნიმუშების და ფოტომასალის შესასწავლად.

გთავაზობთ ამ შეკითხვების დონეებს:

<u>I დონე - ფაქტოლოგიური შეკითხვები.</u> ამ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა დასვას ისეთი შეკითხვები, რომლებიც მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს ტექსტში მოცემული ფაქტების დადგენასა და გაგებას.

<u>II დონე - ლოგიკური შეკითხვები.</u> ამ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა დასვას ანალიტიკური (პრობლემური) შეკითხვები, რომლებიც მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს ტექსტის რომელიმე მონაკვეთის (შესაძლებელია ეს იყოს წინადადება, აბზაცი ან ტესტის საინტერესო ნაწილი) ანალიზის და ინტერპრეტაციის საშუალებას.

<u>III დონე - უნივერსალური შეკითხვები.</u> ამ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა დასვას ღია, ზოგადი ხასიათის შეკითხვები, რომლებსაც აღძრავენ ტექსტში გადმოცემული იდეები. ეს შეკითხვები მიმართულია მოსწავლეთა შორის დისკუსიის პროვოცირებისკენ, რომლებიც აბსტრაქტულ იდეებსა და პრობლემებს ეხება.

ნაბიჯი მეორე - აქტიური კითხვა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაკვირვებით წაიკითხონ (შესაძლებელია რამდენჯერმე) ტექსტი, გახაზონ, მათი აზრით, მნიშვნელოვანი სიტყვები, ფრაზები. ჩამოწერონ ის იდეები, რომელთაც აღძრავს ტექსტის შინაარსი.

ნაბიჯი მესამე - კითხვებზე პასუხი გაცემა

ტექსტის შესწავლის შემდეგ, მოსწავლეებმა პასუხი უნდა გასცენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს ინდივიდუალურად ან ჯგუფებში. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ წინასწარ როგორ დაგეგმა მასწავლებელმა კონკრეტული აქტივობა.

ნაბიჯი მეოთხე - განხილვა და დისკუსია

მასწავლებელი ცალკეულ მოსწავლეებს ან ჯგუფებს სთხოვს წარმოადგინონ საკუთარი პასუხები რიგითობის მიხედვით, ვგულისხმობთ, ჯერ პირველი და მეორე, ხოლო ბოლოს მესამე დონის შეკითხვებზე პასუხის გაცემას. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა აზრის წარმოჩენას და დისკუსიის გამართვას.

სხვა ვარიანტი:

იმის შემდეგ, რაც მოსწავლეები რამდენჯერმე გამოიყენებენ ამ სტრატეგიას, შესაძლებელია მასწავლებელმა თვით ჯგუფებს დაავალოს შეკითხვების ჩამოყალიბება. დავალების შესრულების შემდეგ, ჯგუფები ერთმანეთში ცვლიან შეკითხვებს და ცდილობენ მათზე პასუხის გაცემას. იმართება დისკუსია.

„მსხვილი და წვრილი“ შეკითხვები

გთავაზობთ ცხრილს, რომელიც საშუალებას მოგცემთ გაიგოთ ამ სტრატეგიის არსი.

„მსხვილი“ შეკითხვები	**„წვრილი“ შეკითხვები**
ამ გრაფაში მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ იმ ტიპის ღია შეკითხვები, რომლებიც მოითხოვენ ღრმა, „გაშლილ“ პასუხებს. მაგ., რა გავლენას ახდენდა პირველყოფილ საზოგადოებაზე კლიმატის ცვლილება?	ამ გრაფაში მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ იმ ტიპის შეკითხვები, რომლებიც ერთმნიშვნელოვან, (შესაძლებელია „ფაქტობრივ“) პასუხს მოითხოვს. მაგ., რა ჰქვია ბერძნულად ქვის ხანის უძველესს ეპოქას?

ეს სტრატეგია გამოიყენება შემდეგ შემთხვევაში:

თემის შესწავლის შემდეგ *ურთიერთგამოკითხვის ორგანიზებისთვის.* მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ამ თემაზე სამი „მსხვილი“ და „წვრილი“ შეკითხვის ჩამოყალიბებას. ამის შემდეგ, მოსწავლეები ცხრილში ჩაწერილ შეკითხვებს უსვამენ ერთმანეთს

ავტორი: ლევან ახვლედიანი